შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერ
ს/კ: 445593705

ჯავახიშვილის 4ა
ბათუმი, საქართველო, 6004
ტელ: (+995) 511 400 303
ელ-ფოსტა: info@meridiani.edu.ge
ვებ-გვერდი: www.meridiani.edu.ge

MERIDIAN

LIMITED LIABILITY COMPANY
Meridian Maritime Training Centre
I/N: 445593705

Javakhishvilis str. 4a
Batumi, Georgia, 6004
Tel: (+995) 511 400 303
E-mail: info@meridiani.edu.ge
Web: www.meridiani.edu.ge

№ 00000229

ეროვნული ბიბლიოთეკა
ზზ ბეჭდვა ასამეტია
ელექტრონულად

02/10/2025

კოლეჯი მერიდიანის შინაგანაწესი

სარჩევი:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები
მუხლი 2. თანამშრომელთა უფლებები და მოვალეობები
მუხლი 3. სტუდენტთა უფლებები და მოვალეობები
მუხლი 4. სამუშაო და სასწავლო დრო
მუხლი 5. სამუშაო ადგილზე და კოლეჯის ტერიტორიაზე წესრიგი
მუხლი 6. ეთიკა და ურთიერთობები
მუხლი 7. წახალისება და დისციპლინა
მუხლი 8. პირადი მონაცემების დაცვა
მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები
შინაგანაწესი სავალდებულოა კოლეჯის ადმინისტრაციის, პედაგოგების, ტექნიკური პერსონალისა და სტუდენტებისთვის. დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს შრომის კოდექსის, „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონისა და სხვა მოქმედი სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
მიზანია:

- შრომითი და სასწავლო დისციპლინის დაცვა;
- უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნა;
- ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის კულტურის ჩამოყალიბება.

მუხლი 2. თანამშრომელთა უფლებები და მოვალეობები
თანამშრომელს უფლება აქვს:

- მიიღოს ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება და სოციალური გარანტიები;
- ისარგებლოს შვებულებითა და შრომის უსაფრთხო გარემოთი;
- მიიღოს მონაწილეობა პროფესიულ განვითარებასა და ტრენინგებში;
- წარადგინოს წინადადებები კოლეჯის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის.

თანამშრომელი ვალდებულია:

- კეთილსინდისიერად შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობები;
- დაიცვას დისციპლინა და სამუშაო დროის გრაფიკი;
- გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებასა და რესურსებს;
- უზრუნველყოს სტუდენტებთან და კოლეგებთან ეთიკური დამოკიდებულება.

მუხლი 3. სტუდენტთა უფლებები და მოვალეობები
სტუდენტს უფლება აქვს:

- მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;
- ისარგებლოს კოლეჯის ბიბლიოთეკით, ლაბორატორიებითა და ინფრასტრუქტურით;
- მიიღოს კონსულტაცია პედაგოგებისა და ადმინისტრაციისგან;
- მონაწილეობა მიიღოს კოლეჯის ცხოვრებასა და თვითმმართველობაში;
- მიმართოს კოლეჯის ადმინისტრაციას საჩივრით ან წინადადებით.

სტუდენტი ვალდებულია:

- დროულად გამოცხადდეს სასწავლო პროცესზე და დაიცვას სასწავლო გრაფიკი
- დაემორჩილოს დისციპლინას და კოლეჯის წესებს;
- გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებასა და გარემოს სისუფთავეს;
- პატივი სცეს პედაგოგებს, პერსონალსა და თანაკურსელებს;

- თავი შეიკავოს ალკოჰოლის, ნარკოტიკული საშუალებებისა და თამბაქოს მოხმარებისგან კოლეჯის ტერიტორიაზე.

მუხლი 4. სამუშაო და სასწავლო დრო

- თანამშრომელთა სამუშაო გრაფიკი და სტუდენტთა სასწავლო განრიგი განისაზღვრება ხელშეკრულებებითა და სასწავლო გეგმებით.

მუხლი 5. სამუშაო ადგილზე და კოლეჯის ტერიტორიაზე წესრიგი

- კოლეჯის ტერიტორიაზე ყველა პირი ვალდებულია დაიცვას სისუფთავე და უსაფრთხოება.

აკრძალულია:

- ქონების დაზიანება ან არასათანადო გამოყენება;
- აგრესიული, შეურაცხმყოფელი ან დისკრიმინაციული ქცევა;
- ალკოჰოლის, ნარკოტიკული საშუალებებისა და თამბაქოს მოხმარება.
- პერსონალი და სტუდენტები ვალდებულნი არიან დაიცვან შრომისა და უსაფრთხოების წესები და ინსტრუქციები.

მუხლი 6. ეთიკა და ურთიერთობები

- ურთიერთობები კოლეჯში ეფუძნება პატივისცემას, სამართლიანობასა და კოლეგიალობას.
- დაუშვებელია სექსუალური, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური შევიწროება.
- კონფლიქტური სიტუაციების შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან მიმართონ ადმინისტრაციას ან სტუდენტურ თვითმმართველობას.

მუხლი 7. წახალისება და დისციპლინა
წახალისება:

- მადლობა, სიგელი, პრემია ან სხვა ფორმით წახალისება.
- დისციპლინური პასუხისმგებლობა:
- შენიშვნა;
- საყვედური;
- სტუდენტისთვის – საგნის ჩათვლის უარყოფა ან კოლეჯიდან დროებითი/საბოლოო გარიცხვა;
- თანამშრომლისთვის – დისციპლინური პასუხისმგებლობა შრომის კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 8. პირადი მონაცემების დაცვა

- კოლეჯი „მერიდიანი“ უზრუნველყოფს თანამშრომლებისა და სტუდენტების პირადი მონაცემების კონფიდენციალურობას საქართველოს „პირადი მონაცემების დაცვის შესახებ“ კანონმდებლობის შესაბამისად.
- პერსონალური მონაცემები მუშავდება მხოლოდ კანონითა და ხელშეკრულებებით განსაზღვრული მიზნებისათვის.
- აკრძალულია პირადი ინფორმაციის განზრახ გამჟღავნება ან მესამე პირებზე გადაცემა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

- მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს, რომლებიც ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალურობა.
- მონაცემების დაცვის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა დგინდება კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა წესებით.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

- შინაგანაწესი სავალდებულოა კოლეჯის ყველა წევრისთვის.
- მისი დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.
- ცვლილებები და დამატებები მიიღება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

შპს კოლეჯი მერიდიანი
აღმასრულებელი დირექტორი
შარაბიძე ირაკლი